ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის"
ყოველწლიური ბიულეტენი

2021
წელი

სარჩევი:

წინასიტყვაობა 3

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირება 4

ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე 4

ადვოკატირება ეროვნულ დონეზე 5

ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე 6

სოციალურ ჯგუფებში გამოვლენილი სრჯუ საჭიროებები და გამოწვევები 8

გედერულად სენსიტიური მაღალ ხარისხიანი სრჯუ სერვისებზე წვდომა 9

ჰოლისტიკური სექსუალური განათლება 11

ფორმალური განათლება 11

არაფორმალური განათლება 12

ახალგაზრდული ეკოსისტემა 13

ახალგაზრდული ჯგუფების მუშაობა მუნიციპალურ დონეზე 14

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ქსელი 15

მოხალისეობა 16

წინასიტყვაობა

„2021 წლის მანძილზე, COVID 19 პანდემიის გამო, ქვეყანაში გაიზარდა სოციალური უთანასწორობა, რაც მტკივნეულად აისახა და უარყოფით გავლენა იქონია ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე, მათ შორის ქალებზე, ახალგაზრდებსა და მოზარდებზე.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ მაქსიმალურად შეეცადა ეპასუხა ამ გამოწვევებისთვის თავისი საქმიანობით, მიზნობრივი ქმედებებით, მოხალისეობრივი და ადამიანური რესურსების მობილიზაცით, მოქნილი მენეჯმენტით, სწრაფი რეაგირებითა და მიზნობრივი ადვოკატირებით, მტკიცებულებებზე დამკვიდრებული პრაქტიკის გამოყენებით. ორგანიზაციამ შეძლებისდაგვარად უზრუნველყო საზოგადოებისათვის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხებზე, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა, სანდო ინფორმაციისა და უფასო მომსახურების მყისიერი მიწოდება.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ მადლობას უხდის თითოეულ მოხალისეს, ორგანიზაციის წევრს, თემის წარმომადგენელს, პარტნიორ ორგანიზაციებსა და თანამშრომელებს, კეთილსინდისერი, პროფესიონალური შრომისა და საქმის მიმართ ერთგულებისთვის“.

ნინო წულეისკირი, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ დირექტორი

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების ადვოკატირება

სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების, როგორც სოციალური კეთილდღეობისა და გენდერული თანასწორობის აუცილებელი წინაპირობის დაცვა, საჭიროებს მძლავრი მექანიზმების შემუშავებას, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. 2021 წელს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“ აქტიურად შეიტანა წვლილი ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესებაში, სექსუალური და რეპროდუქციულ ჯანმრთელობის სერვისებზე უნივერსალური ხელმისაწვდომობის, დედათა ჯანმრთელობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ ყოვლისმომცველი განათლების, სრჯუ კუთხით ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების, ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ახალგაზრდული პოლიტიკის ადვოკატირებით და სრჯუსთან მიმართებაში, გადაწყვეტილების მიმღებ პირთა ცნობიერებისა და მზაობის გაზრდის ხელშეწყობით.

ადვოკატირება საერთაშორისო დონეზე

საერთაშორისო ვალდებულებების ეროვნულ დონეზე ადვოკატირების მიზნით, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ იყენებს საერთაშორისო მონიტორინგისა და შეფასების ისეთ ინსტრუმენტებს, როგორებიცაა: CEDAW (კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ), ICCPR (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო შეთანხმება), UPR (უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა) და უზრუნველყოფს აქტიურ ადვოკატირებას საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად.

- გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-3 ციკლის ფარგლებში ასოციაციამ წარადგინა ინდივიდუალური და კოალიციური ჩრდილოვანი ანგარიშები, მონაწილეობა მიიღო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სესიაში და წარადგინა მოხსენება. ადვოკატირების შედეგად, სახელმწიფოს მიერ მიღებულ იქნა 9 რეკომენდაცია დედათა ჯანმრთელობის, ოჯახის დაგეგმვისა და ყოვლისმოცველი სექსუალური განათლების კუთხით;
- სამი ჩრდილოვანი ანგარიში მომზადდა CEDAW კომიტეტისთვის;

GREVIO ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფთან ანგარიშგება; ერთი ინდივიდუალური და ერთი კოალიციური ანგარიში

ადვოკატირება ევროკავშირთან, ევროკავშირის დელეგაციასთან სრჯუ ამოცანების ინტეგრირების კუთხით, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სტრატეგიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის ახალი საგზაო რუკაში 2024.

ადვოკატირება ეროვნულ დონეზე

მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევის (MICS) მიხედვით, ოჯახის დაგეგმვაზე კონტრაცეფციის დაუკმაყოფილებელი საჭიროების დაფიქსირებული დონე საქართველოში 23.1%-ს შეადგენდა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია, თუ მას ევროპას შევადარებთ. ზოგადად, ოჯახის დაგეგმვის შესახებ ინფორმირებულობის დაბალი დონის შედეგია ის, რომ არასასურველი ორსულობის შეწყვეტის მიზნით, ჯერ კიდევ ბევრი ქალი მიმართავს აბორტს, და ხელოვნური აბორტების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალ ნიშნულზე ნარჩუნდება და არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

დედათა და ახალშობილთა ჯანმრთელობის ხელშეწყობის 2017-2019 წლის სამოქმედო გეგმის (რომელიც თან ერთვის 2017-2030 წლების სტრატეგიას) ერთ-ერთი მიზანი სწორედ ოჯახის დაგეგმვის სერვისების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება იყო. 2021 წლის მონაცემები მეტყველებდა იმას, რომ აღნიშნული სამოქმედო გეგმა საჭიროებდა გადახედვას, რათა შემდგომი წლების სამოქმედო გეგმა ყოფილიყო ქმედითუნარიანი.

2021 წელს ასოციაცია „ჰერა XXI"-ის ინიციატივით განხორციელდა აღნიშნული გეგმის მონიტორინგი და შეფასდა მისი ეფექტიანობა. მიღებული შედეგები წარდგენილ იქნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს მთავარ აქტორებთან. შედეგად, ახალი სტანდარატით იქნა შემუშავებული 2021-2023 წლის სამოქმედო გეგმა, რომელმაც დამტკიცების ეტაპი უნდა გაიაროს.

ასოციაცია „ჰერა XXI“-მა ჯანმრთელობის საერთაშორისო ორგანიზაციის SARA-ს ისტრუმენტის გამოყენებით 2021 წელს ჩაატარა აბორტის სერვისის ხელმისაწვდომობისა და მზაობის შეფასება. შედეგებმა უჩვენა, რომ 2017 წელთან შედარებით მონაცემები რადიკალურად შეცვლილია. კონკრეტულად, განახევრებულია აბორტის სერვისის პროვაიდერი კლინიკების რაოდენობა, ადგილი აქვს არარეგისტრირებულ აბორტებს. აღნიშნული კი მჭირდროდ არის დაკავშირებული მზარდ სტიგმასა და სტერეოტიპებთან.

2011 წლიდან, ასოციაცია “ჰერა ოცდაერთი“ ჩართულია პირველადი მომსახურების მინიმალური პაკეტის (MISP) საკოორდინაციო მექანიზმში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, გაეროს მოსახლეობის ფონდსა და სხვა მხარეებთან ერთად. ჯგუფი მუშაობს რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურების მინიმალური პაკეტის ინტეგრირების ხელშეწყობაზე კრიზისული სიტუაციების მზაობის გეგმებში, 2021 წელს ასოციაციამ მონაწილეობა მიიღობა მისპის მზაობის შეფასებაში გაეროს მოსახლეობის ფონდთან ერთად. შეფასება მოხდა ორი მიმართულებით: 1) ეროვნულ დონეზე ზოგადი მზაობა: პოლიტიკა, კოორდინირება და რესურსები 2) სერვისებით უზრუნველყოფის მზაობა, როგორც ეს არის მოყვანილი MISP - ში.

ადვოკატირება ადგილობრივ დონეზე

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ მხარს უჭერს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციას (2020 -2030 წლები), ახალგაზრდულ სტრატეგია 2025-სა და მისი ორწლიანი სამოქმედო გეგმის მესამე ამოცანის მეორე მიზნით გათვალისწინებული შედეგების ეფექტურ იმპლემენტაციას. ამის გათვალისწინებით, ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, 2021 წელს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთმა“ გააფართოვა და გააღრმავა პარტნიორობა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, ახალგაზრდულ სტრუქტურებში დასაქმებულ პირებისათვის სრჯუ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით. შედეგად, საქართველოს 10 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლება დაიწყეს საკუთარ სამოქმედო გეგმებში სრჯუ საკითხების ინტეგრირება, რაც მნიშვნელოვანია ქვეყანაში ახალგაზრდების კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის შესაბამისი გარემოს შექმნისათვის.

თანამშრომლობა

ახალგაზრდობის სააგენტოსთან თანამშრომლობამ 2021 წელს კიდევ უფრო მასშტაბური სახე მიიღო. ასოციაცია "ჰერა ოცდაერთი" მონაწილეობდა 2020 - 2030 წლებისათვის ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციის შემუშავების პროცესში, ახლა კი აქტიურადაა ჩართული პოლიტიკის დოკუმენტის მესამე ამოცანის (ახალგაზრდების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა) ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების იმპლემენტაციაში.

2021 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი **დანაშაულის პრევენციის არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს არასრულწლოვანთა რეფერირების ცენტრსა** და ასოციაცია "ჰერა ოცდაერთს" შორის. შეთანხმება ხელს შეუწყობს სააგენტოს ბენეფიციარების რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესს.

ძლიერი თანამშრომლობის დამყარება პარტნიორ ორგანიზაციებთან და საერთო ხედვის გენერირება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ახალგაზრდული ეკოსისტემის გასაუმჯობესებლად სრჯუ მიმართულებით. ამ კუთხით, ორგანიზაციის ინიციატივით შემუშავდა თანამშრომლობითი დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ახალგაზრდობის წარმომადგენელმა გაეროში და შემდეგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა - "მრავალფეროვნების ექო", დრონი, AIESEC in Georgia

ქალთა სათემო ჯგუფის ადვოკატირება

- *ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებებისათვის მძლავრი მექანიზმია საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ საერთო, მიზნობრივი მესიჯების შემუშავება, რაც წარმოადგენს საზოგადოების პრობლემებს, ინტერესებსა და ღირებულებებს.*

  2021 წელს კოალიცია "რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შეხვედრა გაიმართა. აღნიშნულ შეხვედრაზე იდენტიფიცირდა სამიზნე ჯგუფების პრობლემები. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალთა კოალიციამ შეიმუშავა საადვოკაციო მესიჯები.

- *2021 წელს გაიმართა პარიზის ფორუმი, სადაც კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა ნაირობის სამიტზე აღებული ვალდებულებების შესრულებას. პარიზის ფორუმისთვის სამთავრობო/საპარლამენტო დელეგაციებისთვის ვალდებულებების წარდგენის მიზნით, ასოციაცია "ჰერა ოცდაერთი" თანამშრომლობდა გენდერულ საბჭოებთან.*

სოციალურ ჯგუფებში გამოვლენილი სრჯუ საჭიროებები და გამოწვევები

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ აქტიურად მუშაობს იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლებებში, კერძოდ, წეროვანი, წილკანი, ფრეზეთის ტერიტორიასა და საზღვრისპირა ტერიტორიაზე - გალის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ შემდეგ დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ ქალებსა და ახალგაზრდა გოგონებთან - საბერიო, ზემო ბარღები, ნაბაკევი, ოტობაია.

2021 წელს აღნიშნულ სოციალურ ჯგუფებში სოციალური მუშაკისა და ახალგაზრდული ლიდერის საქმიანობის შედეგად გამოიკვეთა ის საჭიროებები და გამოწვევები, რომელთაც კონფლიქტით დაზარალებული, საზღვრისპირა რეგიონებში მცხოვრები და იძულებით გადაადგილებული ქალები აწყდებიან. იდენტიფიცირებული ინფორმაცია საშუალებას გვაძლევს, ვისაუბროთ ქვემოთ მოცემულ საჭიროებებზე:

- იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდა გოგონებისათვის სირთულეს წარმოადგენს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა, მიუხედავად იმისა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალგაზრდების უმრავლესობა დადის ადგილობრივ სკოლაში, პროპორციულად ნაკლები გოგონა აგრძელებს სწავლას უნივერისტეტში ან არ ასრულებს ბოლომდე განათლების მიღებას. ხსენებული საკითხი სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებით, აგრეთვე დასახლებაში არსებული სტერეოტიპული მიდგომებით არის განპირობებული.

- შეზღუდულია სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა იძულებით გადაადგილებული ქალებისა და ახალგაზრდა გოგონებისათვის. დასახლებაში არ არიან სხვადასხვა პროფილის ექიმები, რომელთაც ადგილობრივ დონეზე შეეძლებათ კონსულტაციის გაწევა პაციენტებისათვის. საგულისხმო გამოწვევას წარმოადგენს დევნილი ქალებისა და ახალგაზრდა გოგონებისათვის მენსტრუაციული ნივთების ქონა (ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად მწვავედ გამოჩნდა COVID 19-ის პირობებში).

ასოციაციის აფხაზეთის ახალგაზრდული ჯგუფის ლიდერის მუშაობის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით:

- ოკუპირებული გალის რაიონზე ვერ ნახავთ ისეთი სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც აღჭურვილია საჭირო ტექნოლოგიებითა და საშუალებებით. გარდა ამისა, არ არიან ისეთი ექიმები, რომლებიც დათანხმდებიან მსგავსი სახის ქირურგიული პროცედურის ჩატარებაზე. დიდ ბარიერს ქმნის სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ქალთა ინფორმირებულობის დაბალი დონე.

- სამედიცინო სერვისები აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ყველასთვის ხელმისაწვდომი არ არის და არც ყველანაირი საჭიროების მქონე ადამიანზეა მორგებული. მძიმე ავადმყოფები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ მაშინ გადაჰყავთ, როდესაც გადარჩენის შანსი მინიმალურია და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.
- [გამოწვევას წარმოადგენს ინფორმაციული ვაკუუმიც, გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცის, რა ტიპის სამედიცინო სერვისებია აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი.]

გედერულად სენსიტიური მაღალ ხარისხიანი სრჯუ სერვისებზე წვდომა

COVID-19-ის პანდემიის პირობებში ქალებისა და გოგონების მიმართ არსებული რისკები მკვეთრად გაიზარდა, ვინაიდან სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანდაცვიდან რესურსებს ეპიდემიაზე რეაგირებისთვის გადაამისამართება მოხდა. ამ დროს კი ქალებს უწყვეტად სჭირდებათ ოჯახის დაგეგმვა, მენსტრუალური ჯანმრთელობისთვის საჭირო ნივთები და დედათა ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ინიციატივით და მხარდაჭერით ფუნქციონირებს დისტანციური სერვისების ჰაბი, რომელიც ახალგაზრდა გოგონებსა და ქალებს საშუალებას აძლევს, მიიღონ ექიმ-რეპროდუქტოლოგის, იურისტისა და სოციალური მუშაკის უფასო, ანონიმური კონსულტაცია.

2021 წლის კონსულტაციების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი საჭიროებები:

- ბენეფიციარებს, ხშირად აქვთ პრობლემები სამედიცინო დაწესებულებებთან გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, ასევე, ხშირია შეკითხვები სამედიცინო პერსონალის მხრიდან არასათანადო მოპყრობის თაობაზე თუ რა მექანიზმები და სამართლებრივი გარანტიები გვაქვს კანონმდებლობაში.
- მნიშვნელოვანი გამოწვევაა, როდესაც პაციენტის უფლებების უხეში შელახვა ხდება თავად ექიმის მხრიდან, ექიმი სამედიცინო სერვისის მიწოდებისას - ეს იქნება კონსულტაცია, ექიმთან გასაუბრება თუ სხვადასხვა სახის სამედიცინო პროცედურები არ იცავს პაციენტის ანონიმურობისა და კონფიდენციალურობის პრინციპს.
- ფსიქოლოგიური ზეწოლა პარტნიორების, ოჯახის წევრების ან/და ექიმის მხრიდან ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის პროცედურის დროს,
- აბორტის სერვისის მიწოდების დროს ყველა ქალისთვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ფინანსური დამოუკიდებლობა და გეოგრაფიული გადაადგილების ბარიერები.
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანება მტკიცე საფუძველს ქმნის ქალების ღირსებისა და გადაწყვეტილებების პატივისცემისთვის, მაგრამ სავალდებულო 5-დღიანი მოსაფიქრებელი პერიოდი, პრიორიტეტს ანიჭებს ნაყოფს და ეწინააღმდეგება ჯანმრთელობის და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო რეკომენდაციებს.
- აბორტის თანხმობის ფორმა, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია აბორტთან დაკავშირებული მორალური და ეთიკური საკითხების და მათ შედეგად გამოწვეული ზიანის შესახებ, განაპირობებს მიკერძოებულ კონსულტაციებსა და არასწორი ინფორმაციის მიწოდებას აბორტის შედეგად მიყენებული შესაძლო ზიანის შესახებ, რაც ეწინააღმდეგება ჯანმრთელობისა და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო რეკომენდაციებს.

ქალების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა და უფლებები - ჯგუფის შექმნა მიზნად ისახავდა პანდემიის პირობებში ისეთი სივრცის ჩამოყალიბებას ქალებისთვის, სადაც ისინი შეძლებენ მიიღონ მათზე მორგებული სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სერვისები და რელევანტური ინფორმაცია სფეროს სპეციალისტებისგან. ამ გზით ჯგუფი ემსახურება ცნობიერების ზრდას სრჯუ საკითხებზე და ხელს უწყობს ქალებისათვის სერვისების მიზნობრივად და უსასყიდლოდ მიწოდებას, რაც თავის მხრივ, ქალების ჯანმრთელობისა და გაძლიერების საწინდარია.

ჰოლისტიკური სექსუალური განათლება

2021 წელს მნიშვნელოვანი ქმედითი ნაბიჯები გადაიდგა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ, ყოვლისმომცველი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების შესახებ ფორმალური და არაფორმალური განათლების მიწოდების კუთხით.

ფორმალური განათლება

ელექტრონული სასწავლო ტრენინგი „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მასწავლებლებისთვის“ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა. კურსს წინ უძღოდა საჭიროებათა კვლევა ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიისა და სამოქალაქო საგნის მასწავლებლებს შორის.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ მასწავლებლებს სჭირდებოდათ ისეთი რესურსების არსებობა, რომელიც აღმოფხვრიდა რეპროდუქციული ჯანმრთელობის სწავლების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს და მისცემდა მათ შესაძლებლობას, სრულყოფილი, ასაკზე მორგებული ცოდნა გადაეცათ

მოსწავლეებისათვის. კურსი „სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა მასწავლებლებისთვის“ სწორედ ამ მიზნის საპასუხოდ შეიქმნა.

2021 წელს ორგანიზაციამ დაიწყო **სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა (სრჯ) კრიზისულ სიტუაციებში: დისტანციური სწავლების მოდულის** ადაპტირება. აღნიშნული პირველადი ჯანდაცვის რგოლში ჩართულ დაინტერესებულ პირებს დაეხმარება ამომწურავად გაიარონ კრიზისული სიტუაციის მართვის საკითხები.

არაფორმალური განათლება

- თანასწორების მიერ თანასწორთა განათლებას ისახავს მიზნად კურსი თანასწორგანმანათლებლებისთვის, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა UNESCO-ს ახალ ტექნიკურ სახელმძღვანელოს „ყველაფერი ერთ სასწავლო კურსში“. კურსი 2021 წელს გაიარა 59-მა ახალგაზრდამ.

- 19-მა ახალგაზრდამ აიმაღლა ტრენერული უნარ-ჩვევები და გახდა თანასწორგანმანათლებელი. თანასწორგანმანათლებლების მიერ ჩატარებული სესიების შედეგად, გადაამზადა 1060 ახალგაზრდა საქართველოს 8 მუნიციპალიტეტში.

- 2021 წელს პარტნიორობა დამყარდა Amaze.org-სა და ასოციაცია „ჰერა ოცდაერთს“ შორის, რითაც ხელი შეეწყო საქართველოში ციფრული მულტიმედია რესურსების ინტეგრირებას ფორმალურ და არაფორმალური განათლების პროგრამებში.

ახალგაზრდული ეკოსისტემა

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს ახალგაზრდებზე ორიენტირებული მიდგომა, რაც თავის მხრივ, მომავალი თაობის საჭიროებების გამოვლენასა და ინტერესების გათვალისწინებას ემსახურება. ახალგაზრდობის სააგენტოსა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომლობით ჩატარებული კვლევა „ახალგაზრდობის საჭიროებები და გამოწვევები მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე“ ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგემლი ძლიერი და მდგრადი ახალგაზრდული ეკოსისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა სერვისზე ხელმისაწვდომობა, ამასთანავე, დაბალია მოხალისეობრივ___საქმიანობაში მათი ჩართულობა მუნიციპალურ დონეზე.

„საქართველოს ახალგაზრდული სტრატეგია 2025“ - ის სამოქმედო გეგმით გათალისწინებული მესამე ამოცანა მიზნად ისახავს ახალგაზრდებისათვის ჯანსაღი გარემოს ჩამოყალიბებასა და მათი კეთილდღეობისათვის საჭირო პირობების შექმნას. ამ მიზნით, აღნიშნული ამოცანა მოიცავს სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ აქტივობებს. ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“, როგორც ექსპერტი ორგანიზაცია, მონაწილეობას იღებდა აღნიშნული გეგმის აქტივობების შემუშავებისა და რეკომენდაციების გაცემის პროცესში. ამასთანავე, ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცის ნაწილში მუნიციპალურ ახალგაზრდულ სტრუქტურებთან.

2021 წელს ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ახალგაზრდებში აჩვენა, რომ მიუხედავად წინ გადადგმული ნაბიჯებისა, რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და გენდერზე დაფუძნებული ძალადობის შესახებ ინფორმაცია მწირია და დგას ცნობიერების ასამაღლებელი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების საჭიროება.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ მიერ აღებული გეზი ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტ ახალგაზრდას აძლევს შესაძლებლობას წვლილი შეიტანოს გარშემომყოფის სოციუმის განვითარებასა და გაძლიერებაში.

ახალგაზრდული ჯგუფების მუშაობა მუნიციპალურ დონეზე

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ბაზაზე 6 ახალგაზრდული ჯგუფი ფუნქციონირებს საქართველოს შემდეგ მუნიციპალიტეტებში - წეროვანი, თბილისი, ქუთაისი, ხობი, ახალციხე, გალი. დღეისათვის ჯგუფის წევრებისა და აქტივისტების რაოდენობა 117 ახალგაზრდას შეადგენს, რომელთაგან 9.4% ბიჭია. ორგანიზაცია ორიენტირებულია თანაბარი პირობებისა და შესაძლებლობების შექმნაზე ახალგაზრდებისათვის და რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ცხოვრების საკითხების პოპულარიზებაში როგორც გოგონების, ასევე ბიჭების ჩართულობის გაზრდა.

ლიდერული და გუნდური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება ახალგაზრდობიდანვე, ხელს უწყობს მომავალში საერთო მიზნების მიღწევის ეფექტურობას, არის გარანტი წარმატებული კარიერის, კეთილდღეობისა და საზოგადოებაში საკუთარი თავის დამკვიდრების შესაძლებლობის. ახალგაზრდული ჯგუფების მუშაობის სპეციფიკა ლიდერული საქმიანობის გაძლიერებაზე აკეთებს აქცენტს. ახალგაზრდული ჯგუფების თითოეული წევრს აქვს საშუალება, აღმოაჩინოს, დახვეწოს და გაიმუჯობესოს უნარ-ჩვევები.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ქსელი

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ საქმიანობის გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მიზნით, აქტიურად ფუნქციონირებს ასოციაციის Facebook პლატფორმა ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის“ ახალგაზრდული ქსელი. სივრცე 1594 ადამიანს აერთაინებს და მის მართვაში ჩართულნი არიან უშუალოდ ახალგაზრდული ჯგუფის წევრები. ონლაინ-პანდემიის პირობებში გვერდი იქცა მნიშვნელოვან ბერკეტად აუდიტორიასთან საკომუნიკაციოდ და ასოციაციის აქტივობებში ჩართულ ახალგაზრდებს გაუადვილა წვდომა მრავალფეროვან შესაძლებლობებსა და თვითგამოხატვის საშუალებებზე.

გარდა შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა, პლატფორმა მოიაზრებს საგანმანათლებლო დანიშნულებას და მი–ზნად ისახავს ახალგაზრდებისთვის პრობლემური საკითხების განმარტებას, მუნიციპალურ დონეზე ახალგაზრდების ხმის გაჟღერებას. ახალგაზრდული ქსელი არის მძლავრი მექანიზმი სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის საკითხების ადვოკატირებისა საზოგადოებაში.

მოხალისეობა

ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის გაზრდას ითვალისწინებს „2020–2030 წლებისთვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“, რომელიც აღნიშნული იდეის მისაღწევად მოხალისეობრივი საქმიანობის პოპულარიზებასა და გაუმჯობესებას ისახავს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად. ასოციაცია „ჰერა ოცდაერთი“ საკუთარი საქმინობით უკვე მრავალი წელია ემსახურება ამ მიზანს - ორგანიზაციის მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართული ახალგაზრდების რიცხვი ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2021 წელს მოხალისეების საერთო რაოდენობამ 1695-ს მიაღწია.

საქმიანობის მიზნობრივად კოორდინირება და სწორად შერჩეული მექანიზმები ორგანიზაციას დაეხმარა შეექმნა ძლიერი წარმატებული მოხალისეობრივი პლატფორმა, სადაც გათვალისწინებულია თითოეული მოხალისის ინტერესი და რესურსი.

ასოციაცია „ჰერა ოცდაერთის ალუმნის ქსელი“ ამის ერთ-ერთი აშკარა მაგალითია. ჰაბი 2021 წელს შეიქმნა და დღეისათვის მასში 365 ახალგაზრდაა გაწევირანებული. ეს არის სივრცე თვითრეალიზაციისა და პიროვნული განვითარებისთვის,

გამოცდილების გაზიარებისა და საქმიანობის ეფექტურად განხორციელებისათვის. ორგანიზაცია საკუთარ მოხალისეებს სთავაზობს წვდომას საინფორმაციო მასალებზე, ტრენინგებსა და აქტივობებზე, აძლევს მათ ექსკლუზიურ შესაძლებლობებსა და მხარს უჭერს მოხალისეების პროფესიულ განვითარებას.

პლატფორმის მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება, ასოციაცია "ჰერა ოცდაერთის" საქმიანობაში ჩართული ძველი და ახალი წევრების ერთ სივრცეში თავმოყრა, ახალგაზრდული აქტივიზმის მიმართულებით ძირეული ცვლილებების განხორციელება.

ლიდერი გოგონები ჯანსაღი ცხოვრებისთვის - ახალგაზრდებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. აღნიშნული აქტივობა ერთმანეთთან აკავშირებს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ გოგონებს და აერთაინებს მათ ისეთი მნიშვნელოვანი თემის გარშემო, როგორიცაა რეპროდუქციული ჯანმრთელობა და ცხოვრების ჯანსაღი წესი. აქტივისტები, რომლებმაც წარმატებით გაიარეს პროექტის სრული ციკლი, ჩაერთვნენ საკუთარ თემში საზოგადოებისათვის სასიკეთო ცვლილებების ინიცირების პროცესში.

მოხალისეობრივი და აქტივიზმზე დაფუძნებული ლიდერული საქმიანობის მხარდასაჭერად სოციალურ მედიაში ინსტაგრამ პლატფორმაზე ფუნქციონირებს გვერდი ახალგაზრდებისთვის - YOUTHnet of HERA – XXI.

FOR TEACHERS
ForTeachers
მასწავლებლებისთვის
@ForTeachersHERA · საგანმანათლებლო ვებსაიტი
შეტყობინების გაგზავნა

FREE
CHOICE
HEALTH EDUCATION RIGHTS ALTERNATIVE
სექსუალური
და რეპროდუქციული
უფლებები გენდერული
თანასწორობის
საფუძველია
რედაქტირება
ასოციაცია ჰერა XXI
Association HERA XXI
@AssociationHeraXXI · არასამთავრობო
ორგანიზაცია
+ Add a Button

ჰერა
HERA XXI
რედაქტირება
მშობლებისთვის
@forparents.ge · არასამთავრობო ორგანიზაცია
+ Add a Button

ასოციაცია „ჰერა XXI"-ს ინოვაციური
მობილური აპლიკაცია მშობლებისთვის
iOS
ANDROID
Forparents
For Parents
Education
მობილური აპლიკაცია
დაგეხმარებათ ესაუბროთ
შვილებს ჯანსაღი ცხოვრების
წესისა და რეპროდუქციული
ჯანმრთელობის საკითხებზე

FOR TEACHERS

შენ გაქვს თავისუფალი არჩევანის უფლება!


Not secure | forparents.ge
FOR PARENTS
მშობლებისთვის

რედაქტირება
SELF Camp Georgia
@SELFGeorgia · 5 (1 review) · საქველმოქმედო
ბიზნესი
შემოთავაზებების წახვა-ი...
მთავარი
ვიდეოები
მეტი
რეკლამირება

Association HERA-XXI
92 Tweets
Following
Association HERA-XXI
@associationhera · Follows you
Association HERA-XXI actively works in SRHR field since 1998.
hera-youth.ge
Joined June 2015
357 Following
40 Followers
Not followed by anyone you're following


Instagram
Search
hera_xxi_youth
Message
43 posts
73 followers
7 following
YOUTHnet of HERA - XXI
Non-Governmental Organization (NGO)
ასოციაცია ჰერა- XXI ახალგაზრდული ქსელი/ YOUTHnet of
XXI
hera-youth.ge
Followed by likka.gvalia, barbarejanashvili, lotikashvilitekla +4 more
PEER EDUC...

ჰერა
HERA XXI
რედაქტირება
რეპროდუქციული
ჯანმრთელობის
კონსულტირების კაბინეტი
Create @Username · აგდილობრივი კომპანია
+ Add a Button

ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი, II კვადრატი,
შენობა 9, ბინა - 2

20 11 221